განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა
სტომატოლოგია

ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი

შეფასების თარიღ(ებ)ი
02-03.12.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი
25.01.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	445434888
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სტომატოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	დიპლომირებული სტომატოლოგი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0911 დენტალური მედიცინა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ავტორიზებული, გადაწყვეტილება №689586, 24/06/2021

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი ვლადიმერ მარგველაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე გიგინეიშვილი, საქართველოს უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანდა ლურსმანაშვილი, სამეცნიერო კვლევითი ცენტრი რადიქსი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო გრძელიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმმა სააკრედიტაციოდ წარმოადგინა ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი ახალი საგანმანათლებლო პროგრამა ***სტომატოლოგია***. საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ქართულ კანონმდებლობასთან თანხვედრაში, მოიცავს შესაბამის სასწავლო კურსებს/მოდულებსა და კურაციებს, რომელიც ემსახურება როგორც ზოგადტრანსფერული, ისე დარგობრივი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ფორმირებულია ინტეგრირებული კურიკულუმის სახით, მოიცავს ტრანსდისციპლინალურ მოდულებს და განგრძობითად მიწოდებულ (სემესტრულ) სასწავლო კურსებს. პროგრამა ორიენტირებულია პერსონალურ და პროფესიულ განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით სწავლის განმავლობაში სტუდენტის აქტივობები და მიღწევები გროვდება პორტფოლიოში, რომელიც სტუდენტზე ორიენტირებულია და მუდმივი უკუკავშირის მეშვეობით ხელს უწყობს მის პროფესიულ ზრდას.

საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობდა პროგრამის განმახორციელებელი პოტენციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი და უნივერსიტეტის ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულები, პოტენციური დამსაქმებლები.
საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებული და განსაზღვრული საბოლოო შინაარსი, მოცულობა და ერთიანი კონცეფცია შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განისაზღვრა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და სხვა აუცილებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია (დიპლომირებული სტომატოლოგი (Doctor of Dental Medicine (DDM) -კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით - (09) ჯანდაცვა, დარგი/სპეციალობა(0911) - დენტალურიმედიცინა) შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, შესაბამისად, ის განსაზღვრულია ***ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანების*** მიხედვით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  - საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის "აკრედიტაციის

ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის *სტომატოლოგია* ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შესახებ 2021 წლის 10 ნოემბრის MES 5 21 0001210292 ბრძანების შესაბამისად, 2021 წლის 2-3 დეკემბერს ჰიბრიდულ ფორმატში, როგორც ადგილზე ვიზიტის განხორციელებით ისე დისტანციურად. შეფასების პროცესი მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის თანახმად. ყველა დაგეგმილი აქტივობა შესრულდა. დაწესებულებამ შეფასების პროცესში წარმოადგინა დამატებით მოთხოვნილი ექსპერტთა ჯგუფისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალები.

- ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილ იქნა უნივერსიტეტის წარმომადგენლების წინაშე საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ვიზიტის პროცესში ექსპერტთა მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.
- შეფასების პროცესი მიმდინარეობდა საქმიანი დისკუსიის, აკადემიურ, პროფესიონალურ და თანამშრომლობით ფორმატში, დარგობრივი მსჯელობა იყო მრავალმხრივი და არგუმენტირებული. სააკრედიტაციო ვიზიტმა ჩაირა კეთილგანწყობილ და კოლეგიალური მხარდაჭერის ფარგლებში.
-

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალების შესწავლის, თემატური ინტერვიუების შეჯერების, ასევე აკრედიტაციის შეფასების დროს დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს ჩამოუყალიბდა კონკრეტული შეხედულებები, მოსაზრებები და კონკრეტული რჩევები ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის *სტომატოლოგია* აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფი არსებული მონაცემებიდან გამომდინარე ადგენს, რომ პროგრამა შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტთან:

№	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია სტანდარტებთან

- **რეკომენდაციები**

  - პროგრამაში მკაფიოდ გამოჩნდეს, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად სავალდებულოა ყველა სტუდენტმა ჩაატაროს სასწავლო კურსით "კლინიკური პრაქტიკა DEN 5012" გათვალისწინებული მანიპულაციები კლინიკაში.
  - ყველა დარგობრივ კლინიკურ საგნებში მოხდეს პაციენტზე ჩასატარებელი მანიპულაციების კონკრეტული რაოდენობის განსაზღვრა.
  - დარგობრივ კლინიკურ საგნებში სავალდებულო მანიპულაციები განისაზღვროს დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - გაიზარდოს საუნივერსიტეტო კლინიკის მოცულობა
  - დამსაქმებელთა რაოდენობის გაზრდა
  - უცხოელი სტუდენტებისთვის ქართული ენის სწავლების დაწყება პირველივე სემესტრიდან
  - მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განმახორციელებელი გუნდი აცხადებს მზაობას ამ ფორმით წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით, უპრიანი იქნება თუ მოხერხდება სწავლის შედეგების შემცირება მსგავსი სწავლის შედეგების გაერთიანების ხარჯზე.

  - სასურველია უნივერსიტეტმა იზრუნოს საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკის გაფართოებაზე
  - სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის მოხდეს საფანტომო მატერიალური რესურსის დამატება, კერძოდ:

    საკერავი მასალა ქირურგიული სტომატოლოგიისათვის.

    საექსტრაქციო მულაჟები

    საექსტრაქციო ინსტრუმენტების ანაწყობი

    საანესთეზიო ფანტომები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - საფანტომო ლაბორატორია
  - პროცედურული უნარების შეფასება პირდაპირი დაკვირვების ქვეშ (DOPS)
  - მინი-კლინიკური გამოცდა (Mini-CEX)
  - სწავლის შედეგები დაჯგუფებულია ევროპული სტომატოლოგიური განათლების დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი აღმწერის მსგავსად, 4 ძირითადი მიმართულების მიხედვით- პროფესიონალიზმი, უსაფრთხო და ეფექტური კლინიკური პრაქტიკა, პაციენტზე ორიენტირებული მოვლა, სტომატოლოგია და საზოგადოება.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამის „სტომატოლოგია“ მიზნები სრულად თავსებადია ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის დეკლარირებულ მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიასთან და მიმართულია მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებისკენ. პროგრამის შინაარსი და კონცეფცია სტრატეგიულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. პროგრამიდან გამოიკვეთა, რომ პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის, კვლევის და სამედიცინო/პრაქტიკული საქმიანობის ჰარმონიულ განხორციელებას, ეფუძნება ეროვნულ და საერთაშორისო ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის პრინციპს და მიზნად ისახავს მოამზადოს მაღალკვალიფიციური, ევროპული სტომატოლოგიური განათლების სტანდარტის შესაბამისი კომპეტენციის სტომატოლოგი, სიღრმისეული თეორიული და მტკიცებულებაზე დამყარებული სამეცნიერო ცოდნით, ეფექტური კლინიკური და პრაქტიკული უნარებით, ინოვაციურ-ტექნოლოგიური ხედვითა და პრაქტიკოსი სტომატოლოგისთვის აუცილებელი/მნიშვნელოვანი კლინიკური/პრაქტიკული უნარებით, პროფესიული და ლიბერალური ღირებულებებით, რომელიც კონკურენტურანიანი იქნება ეროვნულ და საერთაშორისო მასშტაბით დასაქმებისა თუ სწავლის შემდგომი გაგრძელების მიმართულებით. ინტერვიუს შედეგად დადასტურდა რომ, პროგრამამ უნდა შეძლოს კურსდამთავრებულთათვის: • სტომატოლოგიური გუნდის აქტიური წევრის, ეფექტური ლიდერობისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავება, როგორც პროფესიულ, ასევე ექიმი-პაციენტის დონეზე, • სტომატოლოგი სპეციალისტის როლის გაცნობიერება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში რეგიონულ, სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე; • პროფესიული ღირებულებების, პროფესიული ანგარიშვალდებულების და კრიტიკული თვითშეფასების ფორმირება. ბაუს სტომატოლოგიის პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგების ჩარჩო წარმოაგენს სტომატოლოგიური განათლების ევროპული ასოციაციის (ADEE - Association of Dental Education in Europe) მიერ შემუშავებული დარგობრივი საგანმანათლებლო სტანდარტებისა და აქტუალური კომპეტენციების ადაპტირებას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. სწავლებისა და სწავლის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა უნივერსიტეტის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიმართულებაა და უშუალოდ გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიისგან - სწავლების ინოვაციურ მიდგომებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული განათლების განხორციელება, საერთაშორისო საგანმანათლებლო და

შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადების მიზნით. პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია, ითვალისწინებს სტუდენტების, უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგებს და რეკომენდაციებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს. სწავლებისა და ცოდნის შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, კურიკულუმის დიზაინი, სწავლის, სწავლებისა და შეფასების პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, ემსახურება კრიტიკული აზროვნების, ეთიკური და პროფესიული ღირებულებების, ზოგადტრანსფერული უნარების გამომუშავებას და შესაბამისად, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე დიპლომირებული სტომატოლოგის მომზადებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა; - სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები; - ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მისია; - სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფის დოკუმენტაცია; - შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში; - პროგრამის გარე შეფასების ანგარიშები; - სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა; - ანალოგი ქართული და უცხოური პროგრამების შედარებითი ანალიზი; - სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი www.bauinternational.edu.ge ; - სტომატოლოგიური განათლების ევროპული ასოციაციის დოკუმენტაცია - www.adee.org
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამის „სტომატოლოგია“ სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომლებსაც კურსდამთავრებული ფლობს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია, შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და საჭიროებებს, დამსაქმებელთა პროფესიულ მოთხოვნებს. სწავლის შედეგები დაჯგუფებულია ევროპული სტომატოლოგიური განათლების დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი აღმწერის მსგავსად, 4 ძირითადი მიმართულების მიხედვით- პროფესიონალიზმი, უსაფრთხო და ეფექტური კლინიკური პრაქტიკა, პაციენტზე ორიენტირებული მოვლა, სტომატოლოგია და საზოგადოება. დარგობრივი შედეგების გარდა, პროგრამაში გათვალისწინებულია ზოგადი კომპეტენციები.

უნივერსიტეტი ორიენტირებულია პროგრამის მუდმივ განვითარებაზე თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, შემუშავება, განხორციელება და განვითარება სისტემატიზირებულია „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესის“ სახით და ეყრდნობა სათანადო მეთოდოლოგიას. სწავლის შედეგების შეფასების წესში განსაზღვრული შედეგების შეფასების გეგმა ასახავს, თუ როგორ ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს.

პროგრამის სწავლის შედეგების ადეკვატურობა, მიღწევადობა და შესაბამისობა სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, პრაქტიკულ თუ კლინიკურ

კომპონენტებთან ასახულია თითოეული სასწავლო კურსისთვის თანდართული სწავლის შედეგების რუკით, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კომპონენტის ურთიერთმიმართებას პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან, ასევე ამ შედეგების მისაღწევად აუცილებელი სწავლების მეთოდებთან და შეფასების კომპონენტებთან. სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების მეშვეობით. პირდაპირი შეფასების მეთოდი გულისხმობს სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების შეფასებას. არაპირდაპირი შეფასების მეთოდი მოიცავს სტუდენტის თვითშეფასების ანალიზს, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასებას, გარე შეფასებას (დარგის სპეციალისტის მიერ შეფასება), კურსდამთავრებულთა კარიერული წინსვლის და სხვა მიღწევის მაჩვენებლებს. სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად ბაუს განსაზღვრული აქვს სტომატოლოგიის პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგთან მიმართებით სამიზნე ნიშნულები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და ანალიზის შემდეგ უნივერსიტეტი ამზადებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშს, რომლის საფუძველზეც მოხდება პროგრამის მოდიფიცირება; პროგრამის სწავლის შედეგების შესამოწმებლად გამოყენებულია თეორიული და კლინიკური უნარების დამადასტურებელი გამოცდები, შეფასების ფორმები არის მრავალფეროვანი, ფასდება არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, OSCE გამოცდის ფორმატით. სწავლის მეთოდებში აქცენტი კეთდება CBL და PBL სწავლების მეთოდებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა; - სტომატოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგები; - სტომატოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების სწავლის შედეგები; - სტომატოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; - სტომატოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების სწავლის შედეგების რუკები; - პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულების რუკა - ბაუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - პროგრამის სწავლის შედეგების შედგენა-შეფასებაში ჩართული პროგრამის განვითარების ჯგუფის სამუშაო დოკუმენტაცია; - სწავლის შედგების გარე ექსპერტების მიერ შეფასების დოკუმენტაცია; 24 - შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში; - სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი www.bauinternational.edu.ge; - სტომატოლოგიური განათლების ევროპული ასოციაციის დოკუმენტაცია - www.adee.org.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ სწავლის შედეგები დაჯგუფებულია ევროპული სტომატოლოგიური განათლების დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი აღმწერის მსგავსად, 4 ძირითადი მიმართულების მიხედვით- პროფესიონალიზმი, უსაფრთხო და ეფექტური კლინიკური პრაქტიკა, პაციენტზე ორიენტირებული მოვლა, სტომატოლოგია და საზოგადოება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინტერვიუების თანახმად ცხადია, რომ ინგლისურენოვან სტომატოლოგიის პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის ნათელი, გასაგები, დეტალიზებული და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი სტომატოლოგიის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის სამართლიანი, დეტალიზებული და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი. დოკუმენტაციის და ინტერვიუების განხილვის შედეგად გამოიკვეთა დაშვების წინაპირობებად განსაზღვრულია მოთხოვნები. კერძოდ, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ საქართველოს მოქალაქეს უნდა ჰქონდეს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი) და გაიაროს შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველ საქართველოს მოქალაქეს მოეთხოვება მაღალი შეფასება ინგლისურ ენაში ერთიან ეროვნულ გამოცდაზე, რომლის ბარიერიც დადგინდება უშუალოდ გამოცდის წინ. ამ ეტაპზე ჯერ არ მომხდარა ეროვნული გამოცდების საფუძველზე სტუდენტების მიღება, შესაბამისად. კონკრეტული ბარიერი განსაზღვრული არაა, თუმცა დაწესებულებამ აღნიშნა რომ ინგლისური ენის ბარიერი იქნება მაღალი. *ღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქალაქეს დამატებითად არ მოეთხოვება დამატებით ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის ქონა ან უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ენის გამოცდის ჩაბარება.* რაც შეეხება, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ უცხო ქვეყნის მოქალაქეს/მოქალაქეობის არ მქონე პირს, რომელმაც უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, ასევე საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლა უცხო ქვეყანაში, ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ სწავლის უფლების მინიჭების შემდეგ, დამატებითად მოეთხოვება წარმოადგინოს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი ან ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდა. ასევე, გაიაროს ინტერვიუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2018 წლის N90/ნ ბრძანების მიხედვით. გარდა ამისა, უცხო ქვეყნის მოქალაქემ უნდა გაიაროს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დაორგანიზებული გასაუბრება მოტივაციისა და პროფესიის მიმართ მისი მოლოდინების შემოწმების მიზნით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების და პროცედურების შესახებ ინფორმაცია ასახულია საგანმანათლებლო პროგრამაში, რომლის მოძიება შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. გარდა ამისა, პროგრამაზე მიღების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის საერთაშორისო დონეზე გავრცელება ხდება პარტნიორი სტუდენტური სააგენტოების მეშვეობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://www.bauinternational.edu.ge/ • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ბაუს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მიხედვით. პროგრამის ხანგრძლივობაა - 5 სასწავლო წელი, 10 აკადემიური სემესტრი. პროგრამის მოცულობა შეადგენს 300 ECTS კრედიტს. 1 ECTS კრედიტი უდრის 30 აკადემიურ საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო (ლექცია, სემინარი, პრეზენტაცია, ლაბორატორიული, სიმალუციურ და კლინიკურ გარემოში სწავლება, გამოცდები) და დამოუკდებელი მუშაობის საათებს. პროგრამით გათვალისწინებული საათების ჯამური მოცულობაა 9000 აკადემიური საათი, მათგან სავალდებულო საკონტაქტო - 4797 საათი და დამოუკიდებელი მუშაობის- 3813 საათი. არჩევით სასწავლო კურსებს ჯამში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების სახით ეთმობა 390 საათი. სტუნდეტის დღიური აკადემიური დატვირთვა გაანგარიშებულია 6-7 აკადემიური საათით. **უნდა აღინიშნოს, რომ საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადანაწილება, ასევე სტუდენტის ყოველდღიური დატვირთვა მართებულად არის განაწილებული.**

საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტზე და სწავლის შედეგებზე. ყოველი მომდევნო ეტაპი, ეფუძნება რა წინა ეტაპს, განავითარებს სწავლის შდეგებს უფრო მაღალ დონეზე.

კურიკულუმი ინტეგრირებულია, გათვალისწინებულია არჩევითი კურსები, კვლევის კომპონენტი, ზოგად ტრანსფერული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები.

სტომატოლოგიის პროგრამა ითვალისწინებს ინტეგრირებულ სასწავლო გეგმას ბიოსამედიცინო და კლინიკური მედიცინის სწავლებაში. ის მოიცავს ტრანსდისციპლინალურ მოდულებს და განგრძობითად მიწოდებულ (სემესტრულ) სასწავლო კურსებს. ინტეგრაციის ელემენტები წარმოდგენილია ჰორიზონტალური და ვერტიკალური სახით. თითოეული მოდული ფარავს სხვადასხვა დისციპლინას, რომელიც გაერთიანებულია კონკრეტული თემის ირგვლივ და სტუდენტები იძენენ თეორიულ ცოდნას საკითხის ირგვლივ სხვადასხვა საგნის პერსპექტივიდან. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) და დაავადების შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების (CBL) მეთოდები აქტიურად გამოიყენება მთელი პროგრამის განმავლობაში, განსაკუთრებით, კი ინტერდისციპლინურ მოდულებში, რომელიც ზრდის სწავლის პროცესში ინტეგრაციას.

ვიზიტის დროს პროფესორ მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ მოხდა მათი გადამზადება დაწესებულების მიერ აღნიშნული სწავლის მეთოდების და შეფასებების მიმართულებით. სწავლების ეს ფორმატი უზრუნველყოფს დამოუკიდებელი კლინიკური აზროვნების და კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბებას.

პროგრამა ორიენტირებულია პერსონალურ და პროფესიულ განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით სწავლის განმავლობაში სტუდენტის აქტივობები და მიღწევები გროვდება პორტფოლიოში, რომელიც სტუდენტზე ორიენტირებულია და მუდმივი უკუკავშირის მეშვეობით ხელს უწყობს მის პროფესიულ ზრდას და ახდენს ექიმი სტომატოლოგის ძირითადი კომპეტენციების, თვითშეფასების და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის უნარის შეფასებას. აღნიშნული ფორმატი იძლევა სტუდენტის განმავითარებელი

შეფასების საშუალებას და უზრუნველყოფს რეგულარულ უკუკავშირს პედაგოგს და სტუდენტს შორის. პორტფოლიოში სტუდენტის პროგრესზე დაკვირვება შესაძლებელია მარტივად KEYPS ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ვიზიტის დროს მოხდა აღნიშნული პროგრამის გაცნობა და ვიზირება. ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის სტომატოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას და აგრეთვე უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე დასაქმებას შეძენილი კომპეტენციის ფარგლებში. უსდ-ის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი სასწავლო პროგრამა საჯაროა და ხელმისაწვდომი. განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე
მტკიცებულებები/ინდიკატორები სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი; - სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანის საგანმანათლებლო პროგრამა - პროგრამის სასწავლო გეგმა - პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; - პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები; - სკოლისა და აკადემიური საბჭოს ოქმები; - პროგრამის განვითარების ჯგუფის შეხვედრის ოქმები; - სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი www.bauinternational.edu.ge - პარტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ავრცობს და აკონკრეტებს მას, სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისი, სამსაფეხურიანი დონით. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ასევე შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსისთვის შემუშავებულია შესაბამისი სილაბუსი და იგი მოიცავს ყველა აუცილებელ ინფორმაციას სასწავლო კურსის შესახებ.უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით 1 ECTS უდრის 30 საათს. სასწავლო კურსის დაგეგმვისას და მისთვის კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებულია როგორც საკონტაქტო ისე არასაკონტაქტო (დამოუკიდებელი) საათები. მათი მოცულობა და მათ შორის თანაფარდობა ადექვატურია და შეესაბამება კურსის სპეციფიკას, სტუდენტის სასწავლო დატვირთვას, კურსის მსვლელობისას შესასრულებელი დავალებების მოცულობის სირთულეს და გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდებს. საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლება-სწავლის მეთოდის გათვალისწინებით შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები აფასებენ კურსის/მოდულის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს. თითოეული კურსის სწავლის შედეგების შეფასებისთვის სხვადასხვა შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება. სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების სწავლის შედეგებთან დაკავშირება ასახულია თითოეული სილაბუსისთვის შემუშავებულ რუკაზე, რომელიც ასახავს სწავლის შედეგის შესაბამისი სწავლებისა და შეფასების მეთოდებს. სასწავლო პროგრამა თანამედროვეა და შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს. ამის დამადასტურებელია ინტეგრირებული სასწავლო კურსების არსებობა პროგრამაში. გამოყენებულია როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური ინტეგრაცია. პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების ნაწილი დენტალური ფოტოგრაფია, დენტალური იმპლანტაცია, ერგონომიკა სტომატოლოგიაში, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სტომატოლოგიაში, ლაზეროთერაპია - ნოვაციას წარმოადგენს ქართულ საგანმანათლებლო სფეროში სტომატოლოგიის სწავლების კუთხით. სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა არის უახლესი, (მათ შორის 2021 წლის) ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის

ბიბლიოთეკაში, თუმცა სილაბუსებში ასევე გამოყენებულია ძველი კლასიკური ლიტერატურაც (2007წ. 2008წ და ა.შ.) სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე ხელმისაწვდომობა. საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომა შესაძლებელია არასაუნივერსიტეტო ადგილიდან სტუდენტის ელექტრონული პროფილის მეშვეობით, აღნიშნულის გაცნობა და ვიზირება განხოციელდა ვიზიტის დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სტომატოლოგიის პროგრამა;
- სტომატოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- სტომატოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სასწავლო კურსების სილაბუსების სწავლის შედეგების რუკები;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი http://bauinternational.edu.ge/bib/opac/index_eng.php.
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.bauinternational.edu.ge;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. აღსანიშნავია რომ სტუდენტები პრაქტიკულ მუშაობას იწყებენ სწავლების პირველივე წლიდან. უსდ-მ გაითვალისწინა ბაზრის კვლევის, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და გაზარდა პრაქტიკული მუშაობის საათები. ამისთვის პროგრამაში გამოყოფილია 511 საათი. პრაქტიკული მუშაობა ხორციელდება როგორც სიმულაციურ, ასევე კლინიკურ გარემოში. საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს საფანტომო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით. გარდა ამისა, სტუდენტები მეათე სემესტრში გაივლიან კლინიკურ პრაქტიკას 8 კრედიტის ოდენობით. ექსპერტების ჯგუფი თვლის რომ, უნივერსიტეტს აღნიშნული კურსით გათვალისწინებული მანიპულაციების ჩატარების უზრუნველსაყოფად, სილაბუსში ან დამატებით დოკუმენტში ჩაწერილი ჰქონდეს, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად სავალდებულოა ყველა სტუდენტმა ჩაატაროს ზემოთ ხსენებული სასწავლო კურსით გათვალისწინებული მანიპულაციები კლინიკაში. უნივერსიტეტი ახორციელებს გაცვლით პროგრამებს, კლინიკური პრაქტიკის გასავლელად, პარტნიორ საუნივერსიტეტო კლინიკაში. დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების ამჟამინდელ რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ დამსაქმებლები, რომლებიც წარმოადგენენ საუკეთესო კლინიკებს არამარტო ბათუმში, არამედ რეგიონში, შეძლებენ სტუდენტების შეზღუდული რაოდენობით მიღებას. ერთ-ერთი დამსაქმებელი ინტერვიუს დროს აღნიშნავდა რომ გეგმავენ გაფართოებას და შემდეგ შეიძლება გაიზარდოს სტუდენტების მიღების ზღვრული რაოდენობაც. ასევე სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ კლინიკური პრაქტიკა გაიარონ სტომატოლოგიური კლინიკის სიმულაციურ ლაბორატორიაში. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, დადგება საჭიროება მოცულობითი საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნის, ან დამსაქმებელთა რაოდენობის გაზრდის. უცხოელი სტუდენტებისთვის სავალდებულოა ქართული ენის ათვისება, 22 კრედიტის მოცულობით, რათა გაუადვილდეთ კომუნიკაცია ქართველ პაციენტებთან. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება გაძლიერებულად ქართული ენის სწავლებას, თუმცა მიაჩნია რომ აღნიშნული კურსის სწავლება უმჯობესია სტუდენტებმა დაიწყონ სწავლების პირველივე სემესტრში. პროგრამაში ცალსახად გამახვილებულია ყურადღება კვლევაზე, სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებისთვის გამოყოფილი დრო შეესაბამება 21 კრედიტს. მნიშვნელოვანი და საყურადღებოა სასწავლო კურსი " მტკიცებითი მედიცინა", რომელიც ასევე ემსახურება მტკიცებულებაზე დაფუძნებულ მიდგომას და ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს. ასევე დამამთავრებელ სემესტრში სტუდენტი ამუშავებს კვლევით პროექტს, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი. რადგან სტომატოლოგიის პროგრამა არის ახალი, არ გამოიკვეთა სტომატოლოგიიის სტუდენტების ჩართულობა კვლევებში, თუმცა 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხები როგორც კვლევითი ინფრასტრუქტურისთვის ასევე კვლევითი პროექტებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტომატოლოგიის პროგრამა;
- პარტნიორ კლინიკებთან, დამსაქმებლებთან გამოფრმებული ხელშეკრულებები და მემორანდუმები
- საერთაშორისო საუნივერსიტეტო საავამდმყოფოებთან გაფორმებული მემორანდუმები.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- პროგრამაში მკაფიოდ გამოჩნდეს, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად სავალდებულოა ყველა სტუდენტმა ჩაატაროს სასწავლო კურსით "კლინიკური პრაქტიკა DEN 5012" გათვალისწინებული მანიპულაციები კლინიკაში.
- ყველა დარგობრივ კლინიკურ საგნებში მოხდეს პაციენტზე ჩასატარებელი მანიპულაციების კონკრეტული რაოდენობის განსაზღვრა.
- დარგობრივ კლინიკურ საგნებში სავალდებულო მანიპულაციები განისაზღვროს დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გაიზარდოს საუნივერსიტეტო კლინიკის მოცულობა
- დამსაქმებელთა რაოდენობის გაზრდა
- უცხოელი სტუდენტებისთვის ქართული ენის სწავლების დაწყება პირველივე სემესტრიდან

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- საფანტომო ლაბორატორია

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის „სტომატოლოგია“ სწავლება დაფუძნებულია სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების მეთოდებზე, რაც გულისხმობს სტუდენტის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, მოიცავს პრაქტიკულ საქმიანობას, ჯგუფურ მუშაობას, სიტუაციურ ანალიზს, კონკრეტული შემთხვევების გარჩევას (Case-study), დისკუსიებს, სემინარებს, ლაბორატორიულ სამუშაოს, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, სწავლებას კლინიკურ გარემოში.

პროგრამა აგებულია სასწავლო კურსებისაგან/მოდულებისაგან. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა, შინაარსი, მოცულობა და სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის და იმ შედეგების მიღწევას, რაც უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს შედეგებს შეესაბამება.

სასწავლო კურსები/მოდულები სტრუქტურირებულია უმაღლესი განათლების შესახებ კანონის და მისი სხვა ნორმატივების ფარგლებში. სწავლების მეთოდები შეესაბამება სტუდენტის მომზადების თანამედროვე მეთოდოლოგიურ, მათ შორის - სპეციფიკურ მოთხოვნებს. პროგრამა აგებულია კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპულ სისტემის (ECTS) შესაბამისად.

სტომატოლოგიური პროგრამის სტრუქტურაში მოყვანილია სასწავლო კომპონენტის ელემენტების შინაარსობრივი და რაოდენობრივი განაწილება. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოიცავს პროფილურ და არაპროფილურ სასწავლო კურსებს.

სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯულ დროს და შრომას (სამუშაო დრო), რომელიც ხმარდება ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობა-დამუშავებას, კვლევის სფეროში ახალი სამეცნიერო ნაშრომების მოძიებას, გაცნობას, დამუშავებას, კვლევის სფეროში ცოდნის გაღრმავებას.

კურიკულუმში გაწერილი აკადემიური აქტივობის მეთოდები ცალ-ცალკე და მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტომატოლოგიის პროგრამა
- სტომატოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში მოცემულია სტუდენტის შეფასების ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგებზე გასვლას. სტუდენტების ცოდნის და უნარების შეფასება ხდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი. სტუდენტის მოსწრება ფასდება კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპულ სისტემის (ECTS) შესაბამისად. სტუდენტს ენიჭება კრედიტი თუ ის გადალახავს გამოცდის ბარიერს და დააგროვებს 51-ს და მეტ ქულას. პროგრამის სილაბუსებში გაწერილია კურსის შეფასების მეთოდები და მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს მიმდინარე შეფასებას, შუალედურ შეფასებას და დასკვნით გამოცდას. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიცაა ინტეგრირებული ზეპირი გამოცდა, მრავალპასუხიანი კითხვები (MCQs), პრეზენტაციები, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური/პრაქტიკული გამოცდები (OSCE/OSPE), მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშო (Mini-CEX), პირდაპირი დაკვირვების ქვეშ ჩატარებული პროცედურა (DOPS), და ა.შ. ინტერვიუს მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ პერსონალს აქტიურად უტარდება ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების, შეფასების განხორციელებისა და მათი სწავლის შედეგებთან

მისადაგებასთან დაკავშირებით. ინტეგრირებული საგნების შემთხვევაში, შეფასება ხდება ბლოკების მიხედვით და გაწერილია თითოეული ბლოკისთვის მინამალური კომპეტენციის ზღვრები. აღსანიშნავია, რომ დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების 70%-ზე დასწრება, რაც საკმაოდ მაღალი ნიშნულია, წინააღმდეგ შემთხვევაში დასკვნითი გამოცდა ჩაჭრილად ითვლება. აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე სწავლის განმავლობაში გარდა საგნებით გათვალისწინებული შეფასებებისა, ასევე ფასდება სტუდენტის კურიკულუმგარეშე აქტივობები, რის შესახებ ინფორმაციაც გროვდება ე.წ პორტფოლიოში. პორტფოლიოს შევსებაში გათვალისწინებულია პედაგოგების და მენტორების შეფასება, ასევე სტუდენტი ახდენს თვითშეფასებას. პროგრესზე დაკვირვება და შეფასების შესახებ ინფორმაციის მოძიება სტუდენტის სტუდენტს შეუძლია KEYPS ელექტრონული სისტემაში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პორტფოლიოს არ ენიჭება კრედიტი, მისი ჩაბარება კი აუცილებელია უნივერსიტეტის დასრულებისთვის. სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების ფორმების, მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ მიიღონ კურსის დაწყებისთანავე, კურსის განმახორციელებლის მიერ მათთვის პირველივე მეცადინეობაზე სილაბუსის გაცნობის გზით, ასევე ელექტრონული პორტალიდან. მომიჯნავე სფეროს სტუდენტებთან, აგრეთვე სტომატოლოგიური პროგრამის ერთ აქტიურსტუდენტთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა მათი ინფრომირებულობა შეფასების სისტემაში გაწერილი გასაჩივრების წესებისა და პროცედურების შესახებ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სტუდენტს კურსის გავლის შემდეგ აქვს საშუალება შეაფასოს შეფასების სისტემის ეფექტიანობა. მიღებული შეფასების შედეგების ანალიზის გამოყენება შესაძლებელია სასწავლო პროგრამის გაუმჯობესების და შეფასების სისტემის მუდმივად განახლების და დახვეწისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სტომატოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • პროცედურული უნარების შეფასება პირდაპირი დაკვირვების ქვეშ (DOPS) • მინი-კლინიკური გამოცდა (Mini-CEX)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე ადამიანური რესურსების შეთავაზებით. თითოეული სტუდენტი უზრუნველყოფილია პერსონალური ელექტრონული ფოსტის მისამართით, რომელსაც უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს ინფორმაციის გასავრცელებლად, როგორც სასწავლო-საგანმანათლებლო საკითხებზე, ისე სხვა დაგეგმილი აქტივობების შესახებ. ასევე, სიახლეების განთავსება ხდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციის საათები. ფუნქციონირებს სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული განვითარების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას და სტუდენტების კონსულტირებას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასა და კარიერის განვითარებასთან დაკავშირებით. სტუდენტებს მუდმივად უტარდებათ გამოკითხვები სასწავლო პროცესისა და უნივერსიტეტის სერვისების შესახებ. გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე უნივერსიტეტი ცდილობს მათი სურვილების გათვალისწინებას. ინტერვიუს მსვლელობისას სტუდენტებმა გამოთქვეს კმაყოფილება უნივერსიტეტის პერსონალის მზაობასთან დაკავშირებით, მხარდაჭერა და დახმარება გაუწიონ მათ.
მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ მათ ეძლევათ საშუალება ჩაერთონ მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებში. მიუხედავად ამისა, სასურველია სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა და მხარდაჭერა ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებში და მიიღონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში.
პროგრამა ახალია და რთულია დამსაქმებლებთან თანამშრომლობისა და საკონსულტაციო ღონისძიებების შესახებ საუბარი, თუმცა უნივერსიტეტს მოძიებული ყავს პოტენციური დამსაქმებლები, (ვისთანაც სტუდენტები ასევე გაივლიან პრაქტიკებს სხვადასხვა კურიკულუმების ფარგლებში) რომლებიც ინტერვიუს დროს გამოთქვამენ სურვილს დაასაქმონ კურსდამთავრებულები. სასურველია გაიზარდოს მსგავსი პარტნიორ ორგანიზაციებისა და დამსაქმებელთა რიცხვი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;
- პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული

პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნია სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება. პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი პირადი საქმეებით.

შეფასების დროს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შემდეგნაირია: პროგრამას ახორციელებს 81 პირი (მათ შორის 17 აკადემიური პერსონალი, ხოლო 64 მოწვეული). აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით შემდეგნაირია(16\1) აკადემიურ\სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან კი (17\64).

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში და ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შეესაბამება მათი დატვირთვის სქემას. უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც წარმოებს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა. აკადემიური პერსონალის რაოდენობა, დატვირთვა ასახულია უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ მარეგულირებელ დოკუმენტში. მოწვეული პერსონალის უფლება-მოვალეობები ასახულია მათ შრომითი ხელშეკრულებებში. შეფასების ვიზიტებმა დაადასტურა, რომ ბაუში დასაქმებულ ყველა პერსონალს მონაწილეობა აქვს მიღებული თანამშრომლად აყვანის პროცესში. აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლის და/ან მკვლევარის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მისი კვლევითი აქტივობა, დადასტურებული სამეცნიერო/სამეცნიერო-მეთოდური პუბლიკაციებით. პრიორიტეტულია პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში.

პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ისინი უშუალოდ არიან ჩართულები პროგრამის შემუშავება, მოდიფიცირებაში, რაც დადასტურდა ინტერვიუს დროს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ გააჩნიათ როგორც პრაქტიკული, ასევე აკადემიური და სამეცნიერო გამოცდილება. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან საჭირო რაოდენობის კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე კადრებით, რაც სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესშიც გამოიკვეთა. ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და უფლებები რეგულირდება დებულებით.

პროგრამის პერსონალი ჩართულია საერთაშორისი და ადგილობრივ კონფერენციებში.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში სტომატოლოგიის პროგრამის პერსონალის ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა შეადგენს 33-ს, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა-144-ს, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენების რაოდენობა-68-ს, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენების რაოდენობა-166-ს, ხოლო სხვა სამეცნიერო/კვლევითი აქტივობების რაოდენობა კი-67-ს. ადგილზე ვიზიტისას, სტუდენტებმა შეაქეს მხარდაჭერის ის დონე, რომელსაც იღებენ როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალისგან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ ბაუს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი ✓ თვითშეფასების ანგარიში ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებები ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები ✓ სტომატოლოგიის პროგრამა ✓ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს მიერ ხდება პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასება და შეფასების შედეგების ანალიზი. უნივერსიტეტი სისტემატურად ახორციელებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული პერსონალის შეფასებას. ეს პროცესი ხორციელდება როგორც ადმინისტრაციის, ასევე სტუდენტების მიერ შევსებული სპეციალური ანონიმური კითხვარის ანალიზით. დაწესებულების მიერ შემუშავებული და დოკუმენტირებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და მიღებული შედეგების ანალიზის კრიტერიუმები. მიღებული ინფორმაცია განიხილება ხარისხის სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ (რიგ შემთხვევებში). შედეგები პერსონალს ეგზავნებათ მეილზე, არის კონფიდენციალური და შეფასების შედეგის საფუძველზე შესაძლებელია მოხდეს პერსონალის წახალისება, მადლობის სიგელის გადაცემა, რაც დასტურდება აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს. აღსანიშნავია რომ თავად ხარისხის სამსახურის მუშაობის ეფექტურობას აფასებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და ვიცე-რექტორი. უსდ ხელს უწყობს აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე, რაც გათვალისწინებულია პროგრამის ბიუჯეტში. თვითშეფასების კითხვარის, მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, მოხდა სტომატოლოგიური პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გადამზადება სწავლება-სწავლის მეთოდებში, ასევე ჩაუტარდათ ტრენინგი სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით, ტრენინგი კურიკულუმის მომზადებაში. ბიბლიოთეკის თანამშრომელმა გაიარა გადამზადება თურქეთის უნივერსიტეტის ბაზაზე. ტოპ მენეჯმენტთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ადგილობრივ და საზღვარგარეთ გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში, საერთაშორისო პროექტებსა და კვლევებში, სემინარებზე, მასტერ–კლასებში აკადემიური პერსონალის მონაწილეობა განხორციელდება უნივერსიტეტის მხრიდან თანადაფინანსებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები. ○ ინსტიტუციური შეფასებები ○ პერსონალის შეფასებები ○ ხარისხის ანგარიშები ○ პროფესიული განვითარების ანგარიში
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის სასწავლო ფართი მოიცავს ექვს სასწავლო აუდიტორიას, ერთ საკონფერენციო დარბაზს, ორ საპროფესოროს, შვიდ სასწავლო-კვლევით ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას და საგამოცდო ცენტრს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კაფეტერია, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები, სარეკრიაციო და ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილი სივრცეები. ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი-ში განთავსებულია შემდეგი ლაბორატორიები: • მიკრობიოლოგიის და იმუნოლოგიის ლაბორატორია; • ფარმაკოგენეტიკის ლაბორატორია და რეალური დროის PCR ლაბორატორია; • ციტოლოგიისა და ჰისტოლოგიის, ფიზიოლოგიის ლაბორატორია; • კლინიკური და პროფესიული სტომატოლოგიური უნარების ლაბორატორია; • სტომატოლოგიური პროთეზების ტექნიკური ლაბორატორია; • სტომატოლოგიური კლინიკის სიმულაციური ლაბორატორია; • ანატომიისა და PBL/CBL კლასი; • OSCE-ის ცენტრი; • ანატომიის კვლევის ლაბორატორია. სტომატოლოგიური სიმულაციური ლაბორატორია აღჭურვილია სიმულაციური სტომატოლოგიური დანადგარებით, რომელიც სრულად უზრუნველყოფს 30 სტუდენტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების პრეკლინიკურ სწავლებას და განვითრებას. წარმოდგენილი პრეკლინიკური სივრცე სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას კლინიკური სწავლებისათვის. ლაბორატორია აღჭურვილია ვიდეო/აუდიო ჩამწერი სისტემებით, რაც

სრულად უზრუნველყოფს პროფესორ მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ მანიპულაციათა მაღალ სიხშირეს და ჟღერადობას. პრაქტიკული სამუშაო მაგიდები აღჭურვილია უახლესი სტომატოლოგიური ტექნოლოგიებით, უზრუნველყოფს თერაპიული სტომატოლოგიის, ორთოპედიული სტომატოლოგიის, ბავშვთა სტომატოლოგიის პრეკლინიკურ სწავლებას.
ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი-ში არის საშუალება ჩატარდეს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) ამისათვის კამპუსში არის სტანდარტული ოსკის სივრცე ვიდეო-აუდიო ტექნოლოგიებით აღჭურვილი. გარდა ამისა სტომატოლოგიურ სიმულაციურ ლაბორატორიაში არსებული სტომატოლოგიური დანადგარები იძლევა საშუალებას აღნიშნული ტიპის გამოცდების ჩატარების რაც საერთაშორისო განათლების სისტემაში აპრობირებული მეთოდია.
გარდა სიმაულაციური ლაბორატორიისა უნივერსიტეტში არსებობს ეგრედწოდებული სტომატოლოგიური კლინიკა ოთხი სტომატოლოგიური სავარძლით. ვიზიტის დროს აღნიშნული კლინიკა ჯერ არ იყო რეგისტრირებული ჯანდაცვის სამინისტროში. ბაუს სტომატოლოგიური კლინიკა არ არის მორგებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.
გარდა ბაუს კლინიკისა ფაკულტეტს გააჩნია კონტრაქტორი კლინიკები. ვიზიტის დროს მოხდა მათი დათვალიერება, კერძოდ სტომატოლოგიური ცენტრი „როგო“-ს და სტომატოლოგიური კლინიკის „სანარე“ ქალაქ ბათუმში.
მემორანდუმის საფუძველზე სტუდენტებს ექნებათ საშუალება გაიარონ კლინიკური პრაქტიკა სტომატოლოგიის მიმართულებით. მემორანდუმების საფუძველზე კლინიკური პრაქტიკის განხორიელების ფარგლებში, კლინიკა სასწავლო უნივერსიტეტს უზრუნველყოფს საკუთარი კლინიკური ბაზით, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებითა და შესაბამისი ადამიანური რესურსებით, რაც გულისმობს, კლინიკაში მოქმედი წესების შესაბამისად, პრაქტიკული უნარ-ჩევევების გამომუშავებისა და თეორიული ცოდნის მიღების მიზნით, კაბინეტებში, საორდინატოროებში, ლაბორატორიებში, სადიაგნოსტიკო კაბინეტებში და საოპერაციო ბლოკებში სტუდენტთა დაშვებასა და მათ პრაქტიკულ სამედიცინო საქმიანობაში ჩართვას.
ბაუს ბიბლიოთეკაში ინახება მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამების სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც უზრუნველყოფს სტომატოლოგიის საგანმამანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული ლიტერატურა როგორც ბეჭდური, ასევე ელექტორნული ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის და პროფესორ-მასწავლებლებისათვის.
როგორც სტუდენტებს ასევე ლექტორებს ექნებათ წვდომა საერთაშორისო ბაზებზე, კერძოდ: Scopus, Medline, Elsevier, Web of Science, Wiley Online Library და ა.შ.
საბიბლიოთეკო ელექტორნული ბაზა იძლევა საშუალებას ყოველი წლის ბოლოს მოხდეს სტუდენტთა მიერ გამოყენებული აქტუალური სამეცნიერო ლიტერატურის გამოვლენა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალური რესურსის ჩამონათვალი
- სასწავლო უნივერსიტეტის ინვენტარიზაციის აქტი.
- ინფრასტრუქტურის შეძენის დოკუმენტაცია.
- აფილირებულ დაწესებულებებთან მემორანდუმები.
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უნივერსიტეტმა იზრუნოს საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკის გაფართოებაზე

სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის მოხდეს საფანტომო მატერიალური რესურსის დამატება, კერძოდ:

- საკერავი მასალა ქირურგიული სტომატოლოგიისათვის.
- საექსტრაქციო მულაჟები
- საექსტრაქციო ინსტრუმენტების ანაწყობი
- საანესთეზიო ფანტომები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტომატოლოგიის პროგრამისათვის შემუშავებულია ბიუჯეტი. აღნიშნული მოიცავს ხარჯვით კომპონენტს- სასწავლო ინფრასტრუქტურას, ასევე პროგრამაში ჩართული სასწავლო პერსონალის შრომის ანაზღაურებას და კომუნალურ ხარჯებს, მარკეტინგის ხარჯებს, პერსონალის პროფესიული განვითარების, კონფერენციების, საზაფხულო სკოლების ორგანიზების ხარჯებს, კვლევითი აქტივობების დაფინანსების ხარჯებსა და საბიბლიოთეკო ხარჯებს, კვლევითი აქტივობების დაფინანსების ხარჯებსა და საბიბლიოთეკო ხარჯებს, ასევე თითოეული სტუდენტისთვის სტომატოლოგიური სახარჯი მასალებისა და კლინიკური პრაქტიკის გავლის ხარჯებს.
2022 წლიდან პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში იგეგმება 25 სტუდენტის ჩარიცხვა,

ბიუჯეტი გაწერილია შემდეგნაირად
2022 წელი:
თითოეულ სტუდენტზე წლიურად ლაბორატორიული სწავლების ხელშეწყობის მიზნით წარმოდგენილია 500 დოლარი.
კვლევით ლაბორატორიებზე წლიურად განკუთვნილია 80 000 დოლარი.
მარკეტინგი- 10000დოლარი.
აკადემიური პერსონალის გადამზადება 5000 დოლარი.
აკადემიური პერსონალის ხელშეწყობა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე დასწრების მიზნით 5000 დოლარი, აღნიშნულთან მიმართებაში დაწესებულებამ ვიზიტის დროს განაცხადა რომ მოხდება ბიუჯეტის მატება.
საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება - 3000დოლარი
და ა.შ.
ფინანსური რესურსების კანონიერი და ეფექტიანი გამოყენების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტში შექმნილია ფინანსური მართვის პოლიტიკა.
სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური ანგარიშება და აუდიტი ხორციელდება ფინანსური ანგარიშგების მოქმედი საერთაშორისო სტანდარტის (IFRS) შესაბამისად. ფინანსური რისკების მართვის ეფექტურობა შეფასებულია ISO 9001:2015 სერტიფიკატით.
ბაუს იდენტიფიცირებული აქვს ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა უნივერსიტეტის შიდა და გარე ფინანსური რისკები, შემუშავებული აქვს მათი იდენტიფიცირების, ანალიზისა და კონტროლის სტრატეგიები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- სტომატოლოგიის პროგრამის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას და სახელმძღვანელო პრინციპებს განსაზღვრავს „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ხარისხის უზრუნველყოფა, ერთი მხრივ, ემსახურება უნივერსიტეტის ფარგლებში განხორცილებული სასწავლო და კვლევითი პროცესების შეფასებასა და გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ, ინსტიტუციური განვითარების, გამჭვირვალობის, კონკურენტუნარიანობის (როგორც დაწესებულების, ისე კურსდამთავრებულების), საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების საჭიროებების გათვალისწინების უზრუნველყოფას საქმიანობის პროცესში. დოკუმენტის მიხედვით, უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა მოაზრებულია საუნივერსიტეტო საზოგადოების ზრუნვისა და პასუხისმგებლობის საგნად. საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების პროცედურები და მექანიზმები აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის მე-4 თავში (საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები და პროცედურები). დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფა პროცესები, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის შეფასება მიმდინარეობს PDCA ციკლის საერთო პრინციპების შესაბამისად, რაც გულისხმობს პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შემოწმებასა და რეაგირებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით (უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები,

კურსდამთავრებულები, დამსაქმებლების და სხვ.) შესაბამისი სტრატეგიული გეგმების, სამიზნე ნიშნულებისა და ინდიკატორების გათვალისწინებით.

თვითშეფასების ანგარიშით, თანდართული დოკუმენტებითა და ინტერვიუს შედეგებით იკვეთება, რომ საუნივერსიტეტო რეგულაციებით გაწერილი პროცედურები და მექანიზმები სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის შემუშავებისა და მოდიფიცირების თითოეულ ეტაპზე იქნა დაცული. სახელდობრ, სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების, განხილვის და დამტკიცების პროცედურების შესაბამისად შემუშავდა. პროგრამის ინიციატორებმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარუდგინეს პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის წევრები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამის შემუშავებისა და მოდიფიცირების პროცესში. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო შრომის ბაზრის ტენდენციები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება, განათლების სფეროში არსებული საკანონმდებლო რეგულაციებთან თავსებადობა, პროგრამის მიზნებისა და შედეგების უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიასთან შესაბამისობა. ამასთან, იდენტიფიცირდა პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები (იხ. SWOT ანალიზი), დაზუსტდა პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები.

გასაუბრებებით დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აქტიურად იყო ჩართული პროგრამის შემუშავების ყველა ეტაპზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან აქტიური კომუნიკაციით წარიმართა პროგრამის მიზნებსა და შედეგებზე, სტრუქტურაზე, შეფასებისა და სწავლების მეთოდოლოგიასა და სილაბუსებზე მუშაობის პროცესი, რა დროსაც, ერთი მხრივ, განხილული და გათვალისწინებული იქნა სტომატოლოგიური განათლების ევროპული ასოციაციის (ADEE) მიერ შემუშავებული დარგობრივი საგანმანათლებლო სტანდარტები, ხოლო მეორე მხრივ, აკადემიური პერსონალის გამოცდილება და შრომის ბაზრის საჭიროებები. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას ასევე დადასტურდა მათი თანამონაწილეობა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შემუშავების პროცესში.
მნიშვნელოვანია აღინიშნოს თვითშეფასების დოკუმენტის მომზადების პროცესში სხვადასხვა სტანდარტზე პასუხისმგებელი თვითშეფასების ჯგუფების აქტიური მონაწილეობა. ჯგუფები დაკომპლექტებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების წარმომადგენლებით. სამუშაო ჯგუფებს ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები განსახორციელებელ ღონისძიებებთან მიმართებით, განისაზღვრა სამოქმედო გეგმები და ამ გეგმებით განსახორციელებლი აქტივობების ვადები.

თვითშეფასების ჯგუფების მიერ განისაზღვრა პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით სამომავლოდ დაგეგმილია პროგრამის შეფასების პროცესში გარე ექსპერტებისა და შემფასებლების ჩართულობა მათი გამოცდილების გაზიარებისა და სწავლებისა და კვლევის პროცესების გაუმჯობესებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- სტომატოლოგიის პროგრამა;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- სტომატოლოგიის პროგრამის კონცეფცია;
- ხარისხის სამსახურის დასკვნა სტომატოლოგიის პროგრამის კონცეფციაზე;
- სკოლის საბჭოს ოქმი სტომატოლოგიის პროგრამის პროექტის განხილვის შესახებ;
- აკადემიური საბჭოს ოქმი სტომატოლოგიის პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი;
- სტომატოლოგიის პროგრამის გარე შეფასებები;
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში სტომატოლოგიის პროგრამისთვის;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტითა და ინტერვიუების შედეგებით დასტურდება პროგრამის ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმებად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებით მიღებული შეფასებებისა და გარე, უცხოელ თუ ქართველ ექსპერტთა და დამსაქმებელთა რეკომენდაციების გამოყენება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასწავლო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებასთან ერთად იყენებს მმართველობითი პროცესების საექსპერტო შეფასებას, მაგალითად, როგორიცაა ISO:9001. დაწესებულებამ 2020 წლის ნოემბრიდან წამოიწყო საკუთარი ხარისხის მართვის პროცესების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი, რაც 2021 წლის აპრილში, გარკვეული რეკომედციების გათვალისწინების შემდგომ, ISO 9001:2015-ის სერტიფიკატის მიღებით დასრულდა. ამას გარდა, დაწესებულება პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იყენებს კოლეგიურ შეფასებას (Peer Review) სხვა პარტნიორი უნივერსიტეტების მონაწილეობით. აღნიშნულის სრულყოფისა და გრძელვადიან პერსპექტივაში დანერგვის მიზნით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით შემუშავდა და განხორციელების პროცესშია ERASMUS+ SPRING პროექტი.

წარმოდგენილი პროგრამის გარე შეფასების მიზნით განხორციელდა პროგრამის შეფასება დამსაქმებლებისა („dentalmarket", "beladent") და პარტნიორი ბაჰჩეშეჰირის უნივერსიტეტის პრეზიდენტისა და სტომატოლოგიის სკოლის დეკანის მიერ. პროგრამაში გათვალისწინებულ იქნა მათი რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შინაარსის განსაზღვრისას, აქცენტი გაკეთდა დამსაქმებელთა მიერ დაფიქსირებულ პროფესიულ საჭიროებებზე, როგორიცაა ფუნდამენტური ცოდნა ადამიანის პირის ღრუს და ზოგადი დაავადებების, მტკიცებითი დიფერენციული დიაგნოზის ჩატარების ცოდნა და უნარი, თანამედროვე და აპრობირებული მკურნალობის გეგმის შემუშავება და სხვა. პროგრამა ამავდროულად ითვალისწინებს როგორც შრომის ბაზრის კვლევის შედეგად მოპოვებულ მიგნებებს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ამოქმედების პერიოდისთვის იგეგმება პროგრამის მრჩეველთა საბჭოს ფორმირება. მრჩეველთა საბჭოს ფუნქციებში პროგრამის

განვითარების გეგმის შემუშავების გარდა, მოაზრებულია გარე შეფასების დამატებითი წყაროს უზრუნველყოფაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; ○ პარტნიორი უსდ-ების გარე შეფასებების ანგარიშები; ○ პარტნიორ დამსაქმებელების შეფასებების ანგარიშები; ○ მართვის პროცესების გარე სერტიფიცირება ISO 9001:2015-ის სერტიფიკატი; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზანია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობით განხორციელების უზრუნველყოფა, სასწავლო თუ კვლევითი პროცესის შეფასება სტუდენტთა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით. ამ მიზნით, ბაუ-ში დანერგილია საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება/მონიტორინგის პროცედურა შესაბამისი ინდიკატორებისა თუ კრიტერიუმების, შეფასების წყაროების, ფორმები, შეფასების პერიოდულობისა და შეფასებაზე პასუხისმგებელი თუ შეფასებაში ჩართული სუბიექტების განსაზღვრით.

გარდა საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა, დაწესებულება უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას, რაც მოიცავს ა) სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, ბ)სასწავლო კურსების განხორციელების შეფასებას, გ)სწავლის შედეგების შეფასებას, დ) სტუდენტთა მიღწევებისა და აკადემიური პროგრესის შეფასებას. პროცესში ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, სხვა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები. მოპოვებული მონაცემების გაანალიზება, მათზე დაყრდნობით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიერ. უნივერსიტეტში დანერგილია ანგარიშვალდებულებითი სისტემა, რაც გულისხმობს შეფასების პროცესში გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე რეაგირებასა და უკუკავშირის მიღებას შესაბამისი დეპარტამენტის მიერ. მაგ. სასწავლო პროცესის შეფასების შემდეგები გადაეცემა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, რის საფუძველზეც ეს უკანასკნელი ადგენს პროფესიული განვითარების გეგმას.

პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით უნივერსიტეტში დანერგილია როგორც გამოკითხვებით ინფორმაციის მოპოვების, ისე კოლეგიალური შეფასების პრაქტიკა (მაგ., ლექციაზე დასწრება), რა მიზნითაც ხორციელდება:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ყოველსემესტრული შეფასება;
- პროგრამის ხელმძღვანელის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამის განვითარებაში ჩართულობის შეფასება;

- პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ლექციიაზე დასწრება;
- კოლეგიალური ურთიერთდასწრება;
- სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების განმახორციელებლების შეფასება;
- სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის შინაარსის შეფასება;
- სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების მეშვეობით.

მნიშნველოვანია აღინიშნოს, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი პროგრამისთვის შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმები წარმოდგენილია, მათ შორის, ე.წ. რუკების სახით. პროგრამისთვის დადგენილია შესაბამისი სამიზნე ნიშნულები, იდენტიფიცირებულია სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსები და შეფასების მეთოდები, ისევე როგორს შეფასების ვადები. სწავლის შედეგების შეფასებისთვის იგეგმება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის აქტიური გამოყენება. სწავლის შედეგების შეფასების პროცესში, ვფიქრობთ, შესაძლებელია დამაბრკოლებელი გახდეს სწავლის შედეგების სიუხვე. დაწესებულებამ აღნიშნული სწავლის შედეგები შეიმუშავა სტომატოლოგიური განათლების ევროპული ასოციაციის (ADEE) მიერ შემუშავებული დარგობრივი საგანმანათლებლო სტანდარტების გათვალისწინებით. სწორედ ამ დარგობრივი სტანდარტის დოკუმენტის სპეციფიკის გათვალისწინებამ გამოიწვია სწავლის შედეგების მრავალფეროვნება და დეტალიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განმახორციელებელი გუნდი აცხადებს მზაობას ამ ფორმით წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, უპრიანი იქნება თუ მოხერხდება სწავლის შედეგების შემცირება მსგავსი სწავლის შედეგების გაერთიანების ხარჯზე. აღნიშნული გარკვეულწილად გააადვილებს სწავლის შეგდების შეფასების პროცესს.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნვესაყოფად დაწესებულებაში დანერგილია მოქმედი და ახალი პროგრამების დადარების პრაქტიკა როგორც ადგილობრივ, ისე უცხოური უნივერსიტეტების ანალოგ პროგრამებთან. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის ხელმძღვანელების მიერ მოამზადდა ანალოგ პროგრამებთან შედარების ანალიზი, რა დროსაც გამოყენებული იქნა ისეთი წამყვანი უნივერსიტეტების სტომატოლოგიური სკოლების ანალოგები როგორიცაა, Queen Mary University of London და University of Hong Kong. ანალოგ პროგრამებთან შედარებისას ყურადღება გამახვილდა პროგრამების მიზნებზე, შედეგებზე, კურიკულუმების სპეციფიკასა და სასწავლო კურსებზე. გარდა უცხოური ანალოგი პროგრამებისა, განხილულ იქნა საქართველოში მოქმედი ყველა ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი სტომატოლოგიის პროგრამები.

შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან გასაუბრებისას დადასტურდა პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციისა და სტუდენტების აქტიური ჩართულობა. პროგრამის გუნდი, განსაკუთრებით კი პროგრამის ხელმძღვანელები კარგად იცნობენ საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით უნივერსიტეტში დანერგილ

მექანიზმებსა თუ პროცედურებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; ○ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასების კითხვარები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სასწავლო კურსის განმახორციელებელის შეფასების კითხვარი; ○ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების კითხვარი; ○ დეკანის მიერ სასწავლო კურსის განმახორციელებელის შეფასების კითხვარი; ○ სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის განმახორციელებელის შეფასების კითხვარი; ○ კოლეგიალური შეფასების კითხვარი; ○ სტომატოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები; ○ სტომატოლოგიის პროგრამის განვითარების სამოქმედო გეგმა; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში; ○ ანალოგი პროგრამების შედარებითი ანალიზი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განმახორციელებელი გუნდი აცხადებს მზაობას ამ ფორმით წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით, უპრიანი იქნება თუ მოხერხდება სწავლის შედეგების შემცირება მსგავსი სწავლის შედეგების გაერთიანების ხარჯზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგია“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

პროფესორი ვლადიმერ მარგველაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ელენე გიგინეიშვილი.

ლანდა ლურსმანაშვილი

ქრისტინე ჩიხლაძე

ნინო გრძელიშვილი